ღმერთს უყვარს ადამიანები და თქვენ უყვარხართ, მას სურს რომ მასავით გქონდეთ სულიერი სიმშვიდე და ბედნიერი იყოთ ყოველივე იმაში, რასაც აკეთებთ, ეს მდგომარეობს შემდეგში, იცხოვრეთ მშვიდად ღმერთთან და ერთმანეთთან.

**ციტატა ბიბლიიდან:**

რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. (იოანეს 3:16)

შემდეგ გვერდზე ტექსტში ჩაანაცვლეთ სიტყვები "სოფელი" და "არავინ, ვინც" თქვენი საკუთარი სახელით.

რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა
(სოფელი)

.........................................

რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა

(არავინ, ვინც)

.........................................

მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

(იოანეს 3:16)



# აღმოაჩინეთ ღვთის გეგმა: მშვიდობა და სიცოცხლე

ღმერთს სურს რომ აქ და ახლა ცხოვრებაში ვიყოთ ბედნიერები, რატომ არ იცის ადამიანთა უმეტესობამ თუ რა არის რეალური ცხოვრება.



# პრობლემა: ღმერთისა და კაცობრიობის ერთმანეთისგან დაცილება

ჩვენ თავად ვირჩევთ იმას, რომ ადამიანი და ღმერთი იყოს ერთმანეთს დაცილებული.

ადამიანი
(მამაკაცი და ქალი)

ღმერთი



ღმერთმა შექმნა ადამიანი რადგან სურდა რომ ყოლოდა მეგობარი, მას სურდა რომ ჰქონოდა კონტაქტი ჩვენთან, ადამიანებთან, მან საოცარი, მშვენიერი და ლამაზი სიცოცხლე მოგვცა, ღმერთს არ შეუქმნია კაცი,რობოტი, რომელიც მას ავტომატურად შეიყვარებდა და დაემორჩილებოდა, მან ადამიანს მისცა თავისუფალი ნება და საკუთარი არჩევანის საშუალება და თავისუფლება, რაც ნებისმიერი მეგობრობის საფუძველია.

თუმცა პირველმა ადამიანმა საკუთარი გზა აირჩია, და ახლა ყველა ადამიანი ამ საქციელის შედეგებს იმკის, ამას ეწოდება ცოდვა და ეს სიტყვასიტყვით ნიშნავს, მიზნის მიუღწევლობას, ადამიანმა ვერ მიაღწია თავის მიზნებს რადგან ღმერთის მეგობარი აღარ იყო, ამიტომ ღმერთთან ერთად ცხოვრების საშუალება დაკარგა და ახლა ღმერთსა და ადამიანს შორის არსებობს მანძილი, და ის მიუწვდომელია.

**ბიბლია ამბობს,**
რადგან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას, (რომალეთა 3:23)

ადამიანების საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ ამ ჩამტვრეული ხიდის აღდგენას, მაგრამ მათ ვერ უშველა ვერც ეკლესიაში სიარულმა, ვერც რელიგიურობამ და ვერც მაღალი ზნეობრივი ნორმების დაცვამ, ამ ჩამტვრეული ხიდის შეკეთება შეუძლებელია.

**რადგანაც ამ პრობლემას ერთი გადაწყვეტა აქვს!**




## ღმერთის გადაწყვეტა: იესო ქრისტე

თავად ღმერთმა მოგვცა ერთად,ერთი გამოსავალი... ყველა ადამიანს შეუძლია აირჩიოს ამ გზით სიარული, სწამდეს ჭეშმარიტების და არ ეძებოს ის ცხოვრებაში თუ პირიქით.

ადამიანი
(მამაკაცი და ქალი)

ღმერთი



ბოლოს თვით ღმერთმა იპოვა გამოსავალი, ღმერთი გახდა კაცი და ამ ადამიანის, იესო ქრისტეს საშუალებით აღდგა ღმერთსა და ჩვენს შორის ჩამტვრეული ხიდი, ამიტომაც მოევლინა ის დედამიწას, ის ტანჯვაში ჯვარზე გაკრული დაიღუპა და თავად იწვნია სასჯელი ჩვენი ცოდვების გამო, ამით იესომ გაამრთელა ეს ჩამტვრეული ხიდი ჩვენსა და ღმერთს შორის.

**ბიბლია ამბობს**:

მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით. (რომაელთა 5:8)

**და მანამდე ბიბლიაში წერია**:

იესომ უპასუხა, "მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით. "იოანეს (14:6)

## რას ირჩევთ?

### ადამიანი
(მამაკაცი და ქალი)

უბედურებას
დაშორებას
შეზღუდვას
ბრალს
უმიზნო არსებობას

### ღმერთი

სიყვარულს
მიტევებას
სიმშვიდეს
შეძლებულ ცხოვრებას
უკვდავებას



ამ სამყაროში დაბადებული ადამიანები ღმერთს დაშორებულები არიან, თუ არაფერს გააკეთებთ, თქვენც ღმერთს სამუდამოდ დაშორებულები იქნებით, მაგრამ თქვენი სიცოცხლის მანძილზე ღმერთი საშუალებას გაძლევთ, რომ ის აირჩიოთ, თუ გჯერათ, რომ იესო მოკვდა და მკვდრეთით აღდგა თქვენი ცოდვებისთვის, მაშინ ღმერთი ნამდვილად თქვენი არჩევანია, თქვენ საკუთარ თავს კი არ ირჩევთ, არამედ ღმერთს, ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის არჩევანია, მაგრამ როდესაც ღმერთს ირჩევთ, ის საკუთარ შვილად მიგიღებთ და ის იქნება თქვენი მამა.

თქვენ არ იქნებით მისი შვილი ნათლობის, დადასტურების ან კეთილი საქმეების შედეგად, თქვენ მისი შვილი გახდებით ლოცვის შედეგად და როდესაც იესოს სთხოვთ თქვენს გულში შემოსვლას, როდესაც ისესო მიგიღებთ, თქვენ ცოდვების შენდობას მიიღებთ, ამის შემდეგ შეძლებთ ბედნიერ ცხოვრებას სტრესის გარეშე, რადგან ცხოვრების მიზანს იპოვით.

ამას ვუწოდებთ "რწმენას." იმის რწმენას, რომ რასაც ამბობდა, არის სიმართლე, უნდა გვჯეროდეს იესო ქრისტესი და პირადად ვაღიაროთ ის როგორც უფალი ჩვენი ცხოვრებისა.

# რას ირჩევთ?

**ბიბლიაში ნათქვამია**:
ხოლო ვინც მიიღო იგი (იესო) და ირწმუნა მისი სახელი, მისცა მათ ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა. (იოანეს 1:12)

**შეკითხვა**:
არის რაიმე ჭეშმარიტი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეგიძლიათ მიიღოთ იესო სწორედ ამ მომენტში.

**რას ნიშნავს: მიიღო იესო**?

1. აღიარო რომ ხარ ცოდვილი და ღმერთს დაშორებული ხარ.
2. ირწმუნო, რომ გჭირდება იესო ქრისტე იმისთვის, რომ მიხვიდე ღმერთთან.
3. სთხოვო იესოს შენს გულში შემოსვლა.
4. მადლობა გადაუხადო ღმერთს იესო ქრისტეს სისხლისთვის, რომელმაც ყველა თქვენი ცოდვა ჩამორეცხა.
5. უთხრა ღმერთს, რომ გსურს იწამო ის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

## რას ირჩევთ?



**როდესაც ღმერთის წინაშე ლოცულობთ შეგიძლიათ თქვათ შემდეგი:**

უფალო, ვიცი რომ ცოდვილი ვარ და შენი შენდობა მჭირდება, მე მივხვდი, რომ იესო ქრისტე ჩემთვის დაიღუპა, და რომ ის მკვდრეთით აღდგა, მზად ვარ ზურგი ვაქციო ჩემს ყოფილ ცხოვრებას,ვლოცულობ რომ ახლა ჩემს გულსა და ცხოვრებაში იესო ქრისტე შემოვიდეს: იმისთვის, რომ შეგხვდე შენ მამაო ჩემო და ვისწავლო რომ უკეთ შეგიცნო, უფალო, შენი დახმარებით მზად ვარ ცხოვრებაში ვიყო შენი მიმდევარი და მორჩილი. ამინ

თუ გსურთ განიხილოთ უფრო მეტი ვიდრე ამ წიგნშია მოყვანილი, გთხოვთ, დაუკავშირდეთ პირს, რომელმაც ის გადმოგცათ.

www.gabbertijd.nl
is veranderd ALSO ENGLISH